შპს „ოპტიმუსი“

ქ.თბილისი, თვალჭრელიძის ქ.N 8 მიწის ნაკვეთის ს/კ 01.19.19.001.475) ტერიტორიაზე არსებული შენობა N01/2-ის სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის (მოპ-ის)

საექსპერტო შეფასება

თბილისი

2024 წ.

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
“ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა”
samSeneblo eqspertiza, proeqtireba, mSeneloba.

ქ.თბილისი 22 ივლისი 2024 წ.

ქ.თბილისი, თვალჭრელიძის ქ.N 8 მიწის ნაკვეთის ს/კ 01.19.19.001.475) ტერიტორიაზე არსებული შენობა N01/2-ის სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის (მოპ-ის)

საექსპერტო შეფასება

ობიექტის მისამართი ქ.თბილისი, თვალჭრელიძის ქ.N 8 მიწის (ნაკვეთის ს/კ 01.19.19.001.475);

ობიექტის სტატუსი/ფუნქციური დანიშნულება - საპროექტო(სადემონტაჟო) /არასაცხოვრებელი;

ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - III კლასი;

ექსპერტიზის სახე - საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა;

ექსპერტიზის დამნიშნავი - ფიზიკური/იურიდიული პირი – შპს „magnitude“ ს/კ 404894156;

შემსრულებელი ექსპერტი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251) შპს „ოპტიმუსი“-ს (ს/კ 404420998) დირექტორი, ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი. საინჟინრო ექსპერტიზის სფეროში მუშაობის გამოცდილება 14 წელი (2010 წლიდან), სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება - 39 წელი (1985 წლიდან).

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, თვალჭრელიძის ქ.N 8 მიწის ნაკვეთის ს/კ 01.19.19.001.475) ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების (N01/2 -ის) სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის საექსპერტო შეფასება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;

ექპერტიზაზე წარმოდგენილი ან/და ექსპერტის მიერ მოძიებული დოკუმენტაცია - 1) მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2) მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა; 3)

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შემდგარი - ტექსტური და გრაფიკული ნაწილებისგან. სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი;

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ III-4-80- „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” -კრებული სამახსოვრო ქართულ ენაზე-მოქმედი სნ და წ ამონაკრები -საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა. თბილისი 1987 წ.
4. შ.ბაქანიძე, მ.ლორთქიფანიძე, - „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ ქ.თბილისი 2006წ.
5. სნდაწ 3.01.01-85* „სამშენებლო საქმიანობის წარმოება“
6. სნდაწ 3.01.01-85* „ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაში“
7. N361 27.05. 2014 წ. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ ტექნიიკური რეგლამენტი“
8.N477 27.10. 2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღების წესებისა და პირობების შესახებ;
10. სნ და წ 3.03.01-87 –„მზიდი და შემომფარგლავი კონსტრუქციები“

კვლევა – ჩემს მიერ, საექსპერტო შეფასება ჩაუტარდა ქ.თბილისი, თვალჭრელიძის ქ.N8 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.19.19.001.475) ტერიტორიაზე არსებული შენობის (N01/2-ის) სადემონტაჟო სამუშაოების მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს, რომელიც მოიცავს - პროექტის ტექსტურ ნაწილს, კალენდარულ გრაფიკს და სამშენებლო პოლიგონზე სპეც.ავტოტექნიკის განთავსების გრაფიკულ ნაწილს.

წარმოდგენილი მოპ-ი შედგენილია - შპს „magnitude“-ს“ სპეციალისტების მიერ;

პროექტი შეიცავს ტექსტურ და გრაფიკულ ნაწილებს (24 გვერდს) და შემდეგ თავებს:

1) თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
2) სარჩევს;
3) შესავალს, ობიექტის დახასიათებას;
4) ობიექტის ტექნიკურ ეკონომიურ მაჩვენებლებს;
5) რეკომენდირებულ ავტო-ტრანსპოტრსა და მანქანა-დანადგარების ჩამონათვალს;
6) მშენებლობის ვადებს და მშენებლობის წარმოების მეთოდებს;
7) სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებებზე მოთხოვნათა ნაკრები უწყისი;
8) დროებითი ნაგებობების მოწყობა;

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: **+995 595 902225;** email:g.chankvetadze@optimusi.ge

9) უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
10) სამშენებლო გენგეგმის განმარტებითი ბარათი;
11) ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხები;
12) პროექტის არქიტეტურულ (გრაფიკულ) ნაწილს;

თავებში მოკლედ და ნათლად არის აღწერილი სამშენებლო მოედნის ორგანიზების და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, ამ წესებით განსაზღვრული მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობები, რომელიც შემდგომში ასახულია კალენდარულ გრაფიკში.

მოცემულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და ღონისძიებების აღწერა.

არქიტეტურულ ნაწილში მკაფიოდ არის გადმოცემული და სამშენებლო მოედნის გეგმაზე და მის განმარტებით ბარათში მოცემულია - მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, სამშენებლო მოედნის საზღვრების, საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების, სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სქემის და განთავსების, ასევე სამშენებლო მასალების და დროებითი ღობისა და შენობა-ნაგებობების ლოკაციები მათი გაბარიტული ზომებით; ასევე მოცემულია შენობის გეოდეზიური თუ არქიტექტურული ზომები, გეგმები, ჭრილები ფასადები და სხვ.

კვლევამ აცვენა, რომ წინამდებარე მოპ-ი შედგენილია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე. მასში ზუსტად და დეტალურად არის გაწერილი ყველა ის ქმედება, მათი მიმდევრობა, რასაც საჭიროებს სადემონტაჟო სამუშაოების სრულად, უსაფრთხოდ და ზედმიწევნით ჩატარება, გამომდინარე აქედან სადემონტაჟო სამუშაოების წარმართვას წარმოდგენილი ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად, დადებითი რეკომენდაცია ეძლევა.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

დასკვნა - ქ.თბილისი, თვალჭრელიძის ქ.N8 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.19.19.001.475) ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების (N01/2-ის) სადემონტაჟო სამუშაოების მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შედგენილია ქვეყანაში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაბამისად, კვალიფიციურად. მასში დეტალურადაა გაწერილი ყველა სამუშაო, რასაც საჭიროებს არსებული შენობის დემონტაჟის სრულფასოვნად განხორციელება.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებას ცალსახად დადებითი რეკომენდაცია ეძლევა.

შპს „ოპტიმუსი“-ს

დირექტორი,

ინჟინერ-მშენებელი

გაიოზ ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

საქართველოს რესპუბლიკა

დიპლომი № 010494

მიეცა გაიოზ გიორგის ძე
ჭანკვეტაძეს
მასზე, რომ ის 19 86 წელს შევიდა საქართველოს
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1994 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სრული კურსი
სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის
6 ივლისის გადაწყვეტილებით
გ.გ. ჭანკვეტაძეს მიენიჭა ინჟინერ
მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1994 წ. 16 09

სარეგისტრაციო № 1477

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი:	**გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251);**
დაბედების ადგილი/თარიღი:	ქ.თბილისი 07.12.1968 წ.
მისამართი:	ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1;
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული;
ტელ:	+995 595 90 22 25; +995 557 90 22 00;
E-mail	g.chankvetadze@gmail.com

განათლება

1974-1985 ქ.თბილისის 1-ლი საშ.სკოლა;
1986-1994 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფაკულტეტი - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; კვალიფიკაცია-მშენებელი ინჟინერი;

1999-2003 უნივერსიტეტი -„ლეგია და კომპანია“ იურიდიული ფაკულტეტი. კვალიფიკაცია - იურისტი;

სამუშაო გამოცდილება:

1985-1987 №5-ე სახლმშენებელი კომბინატი 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1987-1989 ყოფილი საბჭოთა კავშირის არმია, საინჟინრო ჯარები;

1989-1991 სამშენებლო ტრესტი „ინჟმშენი“ 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1991-1994 მრავალდარგოვანი საწარმო „პემ“-ი სამშენებლო უბნის უფროსი;

1995-1999 შპს „დარბაზნი“კონსტრუქტორთა ჯგუფის უფროსი;

1999-2002 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია. მთავარი სპეციალისტი;

2003-2005 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსი.

2005-2008 კერძო ბიზნესი - სამშენებლო-საპროექტო სფერო.

2006-2008 ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური - არქიტექტურული და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება. მთავარი სპეციალისტი;

2009 წლის იანვარი-მარტი - ქ.თბილისის, მერიის სამოქალაქო ინტეგრაციის (თბილისის კორპუსი) საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

2009 წლის მარტი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის, მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

2009 წლის მარტი - სექტემბერი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

2010 წლის მარტი - ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს სსიპ „თბილისი უძრავი ქონება“ - დირექტორი;

2009-2012 შენობა-ნაგებობების დიაგნოსტიკის ცენტრი შპს „კრუგი“-ს მენეჯერი - ექსპერტი შენობა-ნაგებობათა დიაგნოსტიკის განხრით;

2012წ დღემდე საპროექტო-სამშენებლო-საექსპერტო კომპანია შპს„ოპტიმუსი“-ს დამფუძნებელი, დირექტორი;
2010 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაკვეთებით შესწავლილი მაქვს 1000 ერთეულამდე ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2 , მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ტექნიკური, საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. ამასთან თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კომპანია შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ დაპროექტებულ 800-ზე მეტი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასის შენობების არქიტექტურული პროექტებისთვის მომზადებულია კონსტრუქციული ნაწილები. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაცემულია მრავალი დასკვნა სადემონტაჟო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვ. სამუშაოების მიმდებარე შენობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული სისტემის საექსპერტო შეფასების შესახებ.

თბილისში მომზადებულია რამოდენიმე ათეული მე-4 კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური შენობების, კომპლექსების, სახელმწიფო უწყების შენობებისთვის პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.

2013 - 2020 წლებში საქართველოს 90-მდე ერთეულ სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრში მომზადებულია იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრების, მათ შორის ბორჯომის იუსტიციის სახლის - პროექტების კონსტრუქციული ნაწილი;


Georgia
IDENTITY CARD
GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
გაიოზი
GAIOZ
გვარი / LAST NAME
ჭანკვეტაძე
CHANKVETADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01017024251
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
07.12.1968
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
07.06.2026
ბარათის No / CARD No
15IB72448
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07.06.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE015IB72448801017024251<<<<
6812078M2606071GE0<<<<<<<<<<<9
CHANKVETADZE<<GAIOZ<<<<<<<<<<<

შპს „MAGNITUDE“

ქ. თბილისი, ქუჩა თვალჭრელიძე # 8,
(ს/კ **01.19.19.001.475**)

დემონტაჟის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დამხმარე - ტექნიკური შენობები

ვამტკიცებ შპს
„magnitude“-ს
დირექტორი
თ. ერისთავი

დამკვეთი:

შპს „ჯითისი თრეიდინგ“ (ს/კ: 406249625)

თბილისი 2024 წ.

დემონტაჟის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შემადგენლობა:

ა) განმარტებითი ბარათი;

1. შესავალი;

2. სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება;

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა;

4.დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მითითებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე;

5. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა;

6. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგითობა და ეტაპები;

7.უსაფრთხოების ტექნიკა;

8. მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ

ტექნიკური რეგლამენტი;

9. ბუნების დაცვა და ეკოლოგია;

10. რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტისა და ხელსაწყოების უწყისი;

ბ) სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა. „მოპ-1“

გ) სამშენებლო მოედანზე სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და სპეც.ავტო-ტრანსპორტის გადადგილების გრაფიკული ნაწილი;

ა) განმარტებითი ბარათი

1.შესავალი

ქ. თბილისი, ქუჩა თვალჭრელიძე # 8 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.19.001.475)
საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა N 01/2 სადემონტაჟო სამუშაოების დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია შპს „magnitude“-ს სპეციალისტების მიერ“-ს მიერ.

დემონტაჟის მშენებლობის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო დამკვეთის: შპს „ჯითისი თრეიდინგ“-ს (ს/კ 406249625) დავალება პროექტირებაზე, შპს „უტა“ ს/კ 203835957 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით. გამოყენებულ იქნა პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები, მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა, ნაკვეთის გეოდეზიური მონაცემები.

წინამდებარე „სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი

სამშენებლო ნორმებისა და წესების და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

საქართველოში მოქმედი ნორმები და წესები, რომლებიც უნდა იქნეს დაცული სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის მიერ.

- საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.
- საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“. (ქ. თბილისი).
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-15/6 ბრძანება „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“. (ქ. თბილისი. ცვლილება 01-21/6).
- საქართველოს მთავრობის №429 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“).
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №422. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი).
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №127/6 (2003 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი) „საქართველოს ტერიტორიის სანიტარიული დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის №370 დადგენილება (2015 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №17 „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს მთავრობის №457 დადგენილება (2022 წლის 16 სექტემბერი ქ. თბილისი) „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნები“. (დადგენილების ამოქმედების ვადა - 2023 წლია 1 იანვარი).

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. შ.ბაქანიძე, მ.ლორთქიფანიძე, - „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ ქ.თბილისი 2006წ.

4. სნდაწ 3.01.01-85* „სამშენებლო საქმიანობის წარმოება“ არის „სნდაწ 3.01.01-85*-ის დამხმარე ცნობარები.

5. სნდაწ 3.01.01-85* „ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაშში“ არის „სნდაწ 3.01.01-85*-ის დამხმარე ცნობარები.

6. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, დადგენილება №361. (27.05. 2014 წ).

7.N477 27.10. 2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;

8.საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და

პირობების შესახებ;

9. სნდაწ 3.03.01-87 –„მზიდი და შემომფარგლავი კონსტრუქციები“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე

სნდაწ 3.01.01-85*-ის „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნის თანახმად, სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა.

2. სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო ტერიტორია განთავსებულია ქ. თბილისი, ქუჩა თვალჭრელიძე # 8 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.19.001.475) საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა N 01/2 მოიცავს საკადასტრო საზღვრებში მოქცეულ მდგომ ნაგებობას მინიჭებული საკადასტრო კოდით.

შენობები თავისი მდგომარეობით წარმოადგენს ნახევრად დაზიანებულ ობიექტებს და არის კონსტრუქციულად 2 სართულიანი შენობა, და არის აგურის ბლოკის და ანაკრები კონსტრუქციებისა.

შენობის განმარტება:

საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა #01/2 წარმოადგენს ორ სართულიან, მესამე კლასის ობიექტს, სამშენებლო ბლოკით ნაშენ მზიდკედლებიან შენობას, კონსტრუქციულად შენობა დაყრდნობილია ლენტურ საძრკველზე, ბლოკის 40 სმ სისქის მზიდი კედლებით, სართულშორისი გადახურვა მოწყობილია ბეტონის რიგელზე დაყრდნობილი ბეტონის ანაკრები კონსტრუქცია. აღნიშნულ შენობაში მოქცეულია ასევე ბეტონის ანაკრები კიბის უჯრედი. შენობას გააჩნია ბრტყელი სახურავი, აღნიშნული შენობის განაშენიანების ფართობია 698.2 კვ.მ.

სამუშაოები ითვალისწინებს შენობის დემონტაჟს და მიმდებარე ტერიტორიის მოსუფთავებას.

ობიექტზე საინჟინრო კომუნიკაციების, ასევე სხვა რაიმე ქსელის არსებობის შემთხვევაში, დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებელია მათი ჩაჭრა საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყუროების ქვეშ, დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით, უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით.

სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, სადემონტაჟო ან სხვასაპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და დამკვეთის მიერ.

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა;

სამშენებლო მოედანი მდებარეობს შპს „უტა“ ს/კ 203835957 საკუთრებაში არსებულ შემოღობილ, დაცულ ტერიტორიაზე, მისი რელიეფი სწორი ზედაპირისაა, შესაბამისად

სადემონტაჟო სამუშაოები რაიმე განსაკუთრებული პირობებით არ ხასიათდება.

პირველ რიგში ტერიტორიაზე შესასვლელთან ეწყობა სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი და მუშა-პერსონალის გასახდელისთვის დროებითი ჯიხური.

მოედანზე უცხო პირთა და იმ მუშა-პერსონალის დაშვება, რომელიც არ არიან ჩართული სადემონტაჟო სამუშაოებში აკრძალულია, ამიტომ სადემონტაჟო სამუშაოების დროს შეზღუდვის სახით მოედნიდან 10 მეტრის რადიუსში მოეწყოს შეზღუდვა სასიგნალო ლენტების საშუალებთ, გაიკრას გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ბანერები.

4.დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მითითებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე

მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს, რომლის შედგენაც უნდა მოხდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. დემონტაჟი უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხვედველობის ქვეშ;

შემდეგ დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება, კერძოდ: განთავსდება მუშა-პერსონალისა და სამუშაოთა მწარმოებლი დროებითი ნაგებობა, საინფორმაციო და

გამაფრთხილებებლი ხასიათის ბანერები, არსებობის შემთხვევაში ჩაიჭრება ყველა საინჟინრო ქსელი შენობასთან მიმართებაში, რადგან ტერიტორია შემოღობილია, ის დამატებით სამშენებლო ღობის მოწყობას აღარ საჭიროებს.

სადემონტაჟო შენობებს ცალკე ჩამოეფარება ფარდა სპეციალურად მოწყობილ ხარაჩოზე, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა მიმდებარე ზონებში. ამასთან სადემონტაჟო და სამუშაოების პარალელურად ყველა სამუშაოს დაწყებამდე კონსტრუქციები უნდა დაინამოს მტვრის თავიდან აცილების მიზნით, უნდა განხორციელდეს შენობის დაგვა- გასუფთავება და გატანა;

დემონტაჟი უნდა დაიწყოს ეტაპობრივ რეჟიმში. თავდაპირველად უნდა ჩაიჭრას/დაიშალოს შენობის გადახურვის ელემენტები, სვეტები, რიგელები, რკინა-ბეტონის გადახურვის ფილები, ვარდნა-ჩამოშლის თავიდან აცილების მიზნით კონსტრუქციებს უნდა ჩაებას სპეც.ტვირთამწეობის ფოლადის ე.წ. „ტროსები," რითაც მოხდება კონსტრუქციის დაჭერა ავტო-ამწის საშუალებით, ამის შემდეგ დაჭერილ კონსტრუქციებს უნდა ჩაეჭრას ხელის ინსტრუმენტებით მიერთებები სხვა კონსტრუციებთან; რის შემდეგაც მოხდება ავტო-ამწის საშუალებით მოჭრილი/ჩაჭრილი ელემენტების ავტო-თვითმცლელებზე დატვირთვა და გატანა ობიექტიდან.

ზემოთაღწერილი კონსტრუქციების დემონტაჟის მსგავსად უნდა განხორციელდეს მიმდევრობით სხვა კონსტრუქციების დემონტაჟი და ნარჩენების გატანა ობიექტიდან.

შენობის გადახურვის ფილების დემონტაჟი, რომელსაც სჭირდება პნევმატური ტექნიკით დანგრევა, უნდა მოხდეს სართულების ნიშნულების შესაბამისად, ზემოდან ქვემოთ,

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვემოთ მუშების სათანადო ინსტრუქტაჟით და მათი უზრუნველყოფით სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით.

5. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სამუშაოების ხანგრძლივობისა და სადემონტაჟო სამუშაოების წარმართვის თავლსაზრისით ობიექტი - მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით მარტივი კატეგორიისაა.

დემონტაჟის ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“; ასევე დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“; აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით ასევე რეალური სიტუაციით.

შესწავლის საფუძველზე დადგინდა დემონტაჟის ხანგრძლივობა 6 თვის (24 კვირა) პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

კალენდარულ გეგმაზე ობიექტის დემონტაჟის შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენდირებული ხასიათისაა, მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით და დემონტაჟის პროცესში აღმოჩენილი სხვადასხვა გარემოებებით. ბოლო კვირებში განხორციელდება დემონტირებული მასალის საბოლოო გატანა მოედნიდან და ტერიტორიის გასუფთავება მომზადება ჩაბარებისათვის.

6.სადემონტაჟო სამუშაოების რიგობრიობა და ეტაპები

კალენდარული გეგემით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა მოხდეს სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა. დემონტაჟის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა **T= 6** თვეს (24 კვირა)

სამშენებლო სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობის მიხედვით სადემონტაჟო ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი სამშენებლო ეტაპები:

ვინაიდან გრუნტის ზედაპირის ცვლილებას სამუშაოები არ ითვალისწინებს,

I რიგის მოსამზადებელი სამუშაოები წარმოდგენილია ორი ეტაპით:

ეტაპი N 1 - სამშენებლო მოედნის მოწესრიგება/შეზღუდვებისა და საინფორმაციო ბანერების მოწყობა ; (4 კვირა)

ეტაპი N 2 - არსებული საინჟინრო-კომუნიკაციების ჩაჭრა, შენობა N 01/2 (ვადა 4 კვირა)

პირველი რიგის ორივე ეტაპზე - 2 თვე - 8 კვირა

II რიგის სამუშაოებისთვის გამოიყო სამი ეტაპი, რომლებშიც გაერთიანდა ყველა ძირითადი სამუშაოები:

ეტაპი N 3 - შენობა N 01/2 მზიდი ელემენტების დემონტაჟი, (2 თვე)

ეტაპი N 4 - საძირკვლის დემონტაჟი (4 კვირა);

ეტაპი N 5 - სამშენებლო ნარჩენების გატანა, ტერიტორიის სრული დასუფთავება; (4 კვირა)

მეორე რიგის სამივე ეტაპზე -4 თვე - 16 კვირა

სულ დადგინდა ხუთი ერთეული ეტაპი სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით. იხ. მოპ-**1**;

7.უსაფრთხოების ტექნიკა

1.უცხო პირთა, აგრეთვე სადემონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

2.მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის, სიმაღლეზე მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით

სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, პერიოდულად უნდა ჩატარდეს გამოცდაც.

3.სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა - მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით

4.მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო _ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III _ 4 _ 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

5.სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

6.ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დღიური რაოდენობა სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.

7.მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

8.ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

9.იკრძალება ვიბრატორის და სხვა ელექტრო მოწყობილობების ადგილიდან-ადგილზე გადატანა, მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ხელსაწყოები სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

10.სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია.

11.თელასის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურებიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენებით, საიდანაც ძალოვანი და განათებელი სადენები გაიმართება;

12.დაუშვებელია არაქარხნული ხელსაწყოების გამოყენება. ყველა დისკოიანი ელ.ხელსწყო

აღჭურვილი უნდა იყოს გარსაცმით;

13. ავარიული სიტუაციისშემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის დროებითი გამაგრება. სადემონტაჟო ობიექტი უნდა იყოს განათებული ღამის საათებში.

14.ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

15.სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა ელ.ქსელი და წყლის ქსელი უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან შეადგენს 3.0მეტრს.

16.სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა დემონტაჟის სახიფათო ზონებში და სადემონტაჟო მოედანზე.

17.ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები, სპეც ფეხსაცმელი; სპეც ხელთათმანები, ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟოსამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

18.აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების ქვეშ. მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

19.სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე. ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს.

19.სამუშაოები უნდა წარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის და ობიექტზე დანიშნული უსაფრთხოების ინჟინრის მეთვალყურეობით. სანშენებლო ნარჩენების გატანა უნდა განხორციელდეს სპეციალური ავტოამწეების გამოყენებით და ავტოთვითმცლელებით; ზედმეტი სამშენებლო ნარჩენებისს დატვირთვა უნდა იწარმოოს გვერდითა მხრიდან.

20. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შრომის სერთიფიცირებული უსაფრთხოების სპეციალისტის/ინჟინერის მიერ მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციული ზომების შემუშავება.

8. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“

დადგენილება №361. (27.05. 2014 წ).6. მაცხოვრებელთა/გამვლელთა/სხვა პირთა დაცვის მიზნით ღობეზე მოეწყოს დამცავი ქოლგა (ფარი) განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც შენობა არის ღობესთან ახლოს.

9. ბუნების დაცვა და ეკოლოგია

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება მოხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ.

1.სამონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

2.გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

3)დაუშვებელია არსებულ საკანცელიზაციო ჭებში ბეტონ-შემრევისა და ბეტონ-ტუმბოს მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით;

4)სადემონტაჟო სამუშაოების დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო სამშენებლო ნარჩენების ღიადგადმოყრა დაუშვებელია, სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

10.რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტისა და ხელსაწყოების უწყისი

	დასახელება	მარკა	რაოდ.ცალი
1	თვითმცლელი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშენებლო მასალის/ნარჩენების გასატანად ავტო-ამწე (24 მეტრიანი) მასალების ჩამოსატვირთად; ტრაქტორი JCB - პნევმატური ჩაქუჩით		3 1 1
2	პერფერატორი		3
3	აირ შესადუღებელი აპარატი ელ.შესადუღებელი აპარატი	კომპლ კომპლ	1 1
4	მოძრავი ანევმატური ინსტრუმენტები: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა		2
5	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები;	კომპლ	2

შპს „magnitude“-ს

დირექტორი

თ. ერისთავი

სამშენებლო სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების კალენდარული გარფიკი - "მოპ 1"

სადემონტაჟო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისი, ქუჩა თვალჭრელიძე # 8 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.19.001.475
სადემონტაჟო შენობა საკადასტრო გეგმის მიხედვით: № 01/2

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით
შენობა წარმოადგენს აბურით, მეტალის, ბლოკით და ანაკრები ელემენტებით ნაშენ კონსტრუქციებს
აღნიშნული სამუშაოების მომზადება და შესრულება საჭიროებს 6 თვის ვადას

წარმოდგენილი გრაფიკი შედგენილია საქართველოს
მთავრობის# 255 3105.19 დადგენილების მე-20 მუხლის მე-8პუნქტის თანახმად
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში შესაძლებელია მშენებლობის დემონტაჟის განხორციელების ძირითადი
რიგის ეტაპების გაერთიანება, დაყოფა/ანდა ამოღება ამ დადგენილებით განსაზღვრული შენობა -ნაგებობის
კლასების განსაზღვრა კლასების შესაბამისად.
კერძოდ, გრაფიკში გაწერილია ორი რიგის სამუშაოები.
პირველი რიგის (მოსამზადებელი სამუშაოები) ორ ეტაპად და მეორე რიგის
(ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოები) სამ ეტაპად სულ ხუთი ეტაპი
პირველი რიგის სამუშაოებს მიცემული აქვს 2 თვის, ვადა მეორე რიგის სამუშაოების
ეტაპებს 4 თვის ვადა. სულ 6 თვე;

მშენებლობის გრაფიკი თვეების მიხედვით

	სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე		II თვე		III თვე		IV თვე		V თვე		VI თვე	
		15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30
	I რიგის სამუშაოები												
1	I ეტაპი საშენებლო მოედნის მოწესრიგება, შეზღუდვებისა და საინფორმაციო ბანერის გაკვრა												
2	2 ეტაპი არსებული საინჟინრო კომუნიკაციების ჩაჭრა, შენობის შეშუშვა												
	II რიგის სამუშაოები												
3	3 ეტაპი შენობების ძირითადი კონსტრუქციების დემონტაჟი												
4	4 ეტაპი შენობების საძირკვლების დემონტაჟი												
5	5 ეტაპი საშენებლო ნარჩენების გატანა,ტერიტორიის სრული დასუფთავება												



შემსრულებელი	შპს ,,magnitude'' ს/ნ 404894156	დამკვეთი:	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/კ:406249625)	კალენდარული გრაფიკი	A4
დირექტორი:	თორნიკე ერისთავი	მის:	ქ. თბილისი, ქუჩა თვალჭრელიძე # 8		
არქიტექტორი:		ს/კ:	01.19.19.001.475		
კონტაქტი: მობ: 597 14 06 14	t.eristavi99@gmail.com		თბილისი, 2024 წ.		

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.19.19.001.475**

განცხადების ნომერი: **882020142617**

მომზადების თარიღი: **26/02/2020**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **754 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**







შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/ჯ: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	სპეც-ავტოტრანსპორტის მოძრაობის სქემა	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/ჯ:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი — თბილისი, 2024 წ.	1:200













შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/პ: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/პ:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი	თბილისი, 2024 წ.



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/კ: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	გენ-გეგმა	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/კ:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი თბილისი, 2024 წ.	1:200



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/ჯ: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	სარდაფის გეგმა -1.90 ნიშნულზე	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/ჯ:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი — თბილისი, 2024 წ.	1:100



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/ჯ: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	გეგმა +0.00 ნიშნულზე	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/ჯ:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი თბილისი, 2024 წ.	1:100



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/პ: 406249625)	დეპონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	გეგმა +3.25 ნიშნულზე	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/პ:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი	თბილისი, 2024 წ.	1:100



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/ე: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	გადახურვის გეგმა	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/ე:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი	თბილისი, 2024 წ. 1:100



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/პ: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	ჭრილი 1-1	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/პ:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი	თბილისი, 2024 წ.	1:100



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/ს: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	ჭრილი 2-2	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/ს:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი თბილისი, 2024 წ.	1:100



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/ე: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	ფასადი 1-8 ღერძებში	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/ე:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი	თბილისი, 2024 წ. 1:100



ფასადი ა-გ ღერძებში



ფასადი ა-გ ღერძებში

შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/პ: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	ფასადები	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/პ:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი	თბილისი, 2024 წ.	1:100



შემს.	შპს "Magnitude" ს/კ 404894156	დამკვეთი.	შპს "ჯითისი თრეიდინგ" (ს/ე: 406249625)	დემონტაჟის პროექტი	A3
დირ.	თ. ერისთავი -	მის.	ქ. თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე, #8	ფასადი 8-1 ღერძებში	
არქ.	გიგა ფევაძე -	ს/ე:	01.19.19.001.475	არქიტექტურული ნაწილი	თბილისი, 2024 წ.	1:100